თარგმანი ინგლისურიდან

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 95-ე სხდომის ოქმი

2019 წლის 11 დეკემბერი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

<u>**მონაწილეები**</u>

#	ქსს-ს წევრები/ალტერნატები	
1	ეკატერინე ტიკარაძე	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ქსს-ს თავმჯდომარე
2	ირმა ხონელიძე	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გენერალური დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული (PIU), დირექტორი
3	თენგიზ ცერცვაძე	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორი გლობალური ფონდის აივ გრანტის ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია

4	ზაზა ავალიანი	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი გლობალური ფონდის ტბ გრანტის ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
5	ხათუნა თოდაძე	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევ ენციის ცენტრი
6	გურამ ამირიძე	შინაგან საქმეთა სამინისტრო
7	ირინე ჯავახაძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველო, მთავარი სპეციალისტი
8	თამთა დემურიშვილი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი
9	ლელა ბაქრაძე	გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
10	ნინო ყოჩიშვილი	საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა, ბ-ნი კარლ ჰარცელის, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ელჩის ალტერნატიული წევრი
11	არქიმანდრიტი ადამი-ვახტანგ ახალაძე	საქართველოს საპატრიარქოს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე
12	ზურაბ ვადაჭკორია	სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი
13	ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი

14	კონსტანტინე ლაბარტყავა	GenPUD, სათემო ორგანიზაცია ახალი ვექტორი, ძირითადი დაზარალებული ჯგუფი ნიმ გლობალური ფონდის აივ გრანტის ქვე-ქვე კონტრაქტორი ორგანიზაცია
15	გოჩა გაბოძე	MSM თემი, დავით კახაბერის ალტერნატიული წევრი
16	მზია ტაბატაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია ალტერნატივა ჯორჯია საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე
17	ზაზა ქარჩხაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია ახალი გზა გლობალური ფონდის აივ გრანტის ქვე კონტრაქტორი ორგანიზაცია
18	მარი ჩოხელი	ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო პროგრამის მენეჯერი
19	დავით ჯიქია	პაციენტთა კავშირი, ნიკოლოზ მირზაშვილის ალტერნატიული წევრი
20	ლელა წაქაძე	ტბ დაზარალებული ჯგუფი გამარჯვებულთა კლუბი
#	**მოწვეული პირები/დამკვირვებლები/მომხსენებლები**	
21	თამარ გაბუნია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი

		მოადგილე, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე
22	ტიმ კლერი	EHG კონსულტანტი
23	სანია მატოვიჩი	EHG კონსულტანტი
24	მაკა დანელია	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული (PIU), ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი
25	ნანა ნაბახტეველი	ადგილობრივი ფინანსური აგენტი (LFA), UNOPS, ფინანსური ექსპერტი
26	თორნიკე ხონელიძე	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
27	მარიამ უბილავა	არასამთავრობო ორგანიზაცია მანდალა
28	ნიკოლო ღვინიაშვილი	თანასწორობის მოძრაობა, აივ პრევენციის პროგრამის ასისტენტი
29	ლაშა აბესაძე	სათემო ორგანიზაცია ახალი ვექტორი, ნიმ თემი
30	კონსტანტინე რუხაძე	სათემო ორგანიზაცია ახალი ვექტორი, GenPUD, ნიმ თემი
#	**სამდივნო**	
31	ირინა გრძელიძე	აღმასრულებელი მდივანი
32	ნათია ხონელიძე	ადმინისტრაციული ასისტენტი

<u>**დღის წესრიგი**</u>

15:00 – 15:10	სხდომის გახსნა/დამტკიცება/საბჭოს 94-ე სხდომის ოქმის დამტკიცება/ დღის წესრიგის დამტკიცება ქ-ნი ეკატერინე ტიკარაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე
15:10– 15:15	მიმართვა საბჭოს წევრებისადმი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დეკლარირების თხოვნით სამდივნო
15:15 – 15:25	**გლობალური ფონდის ტბ და აივ/შიდსის გრანტების მიმდინარეობა** ქ-ნი ირმა ხონელიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტის დირექტორი
15:25 – 15:30	**ანგარიში საზედამხედველო აქტივობების შესახებ** ქ-ნი მზია ტაბატაძე - საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე
15:30 – 16:05	**მიმდინარე ინიციატივები ქსს-ები ევოლუციასთან დაკავშირებით** **/საბჭოს მართვის სახელმძღვანელოს მოდიფიკაციის წარდგენა/ დისკუსია** ბ-ნი ტიმ კლერი - EHG კონსულტანტი ქ-ნი სანია მატოვიჩი - EHG კონსულტანტი
16:05 – 16:25	**საბჭოს თვით-შეფასების შედეგების წარდგენა/ შესაძლებლობების გაძლიერების სფეროებ** **განხილვა/დისკუსია** ბ-ნი ტიმ კლერი - EHG კონსულტანტი ქ-ნი სანია მატოვიჩი - EHG კონსულტანტი

16:25 – 16:45	**საორიენტაციო მასალის წარდგენა/დისტანციური საკონსულტაციო დახმარების სფეროები** **განხილვა (პერიოდი: 2020 წლის იანვარი - აპრილი)** ბ-ნი ტიმ კლერი - EHG კონსულტანტი ქ-ნი სანია მატოვიჩი - EHG კონსულტანტი
16:45– 16:55	**ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსთვის გარდამავალი გეგმის გადაცემა** ბ-ნი ტიმ კლერი - EHG კონსულტანტი ქ-ნი სანია მატოვიჩი - EHG კონსულტანტი
16:55- 17:00	**მიმდინარე საკითხები/განცხადებები**
17:00	**სხდომის დახურვა**

ეკატერინე ტიკარაძე – მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ხაზი გაუსვა ქსს-ს ფუნქციონირების ეფექტურობას და წევრების აქტიურ როლს. თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა. ქ-ნმა მინისტრმა მიმართა აუდიტორიას, წამოეყენებინათ დღის წესრიგში დამატებით შესატანი საკითხები (არსებობის შემთხვევაში), ასევე სხდომის მსვლელობის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, არსებობის შემთხვევაში განეცხადებინათ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

95-ე სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა. ინტერესთა კონფლიქტი დღის წესრიგის საკითხებთან მიმართებაში არ იქნება განცხადებული სხდომაზე დამსწრე არცერთი წევრის მიერ. შევსებული ფორმები ინახება ქსს-ს ოფისში. ქსს-ს 94-ე სხდომის ოქმი დამტკიცდა.

ბ-ნმა ტიმ კლერიმ, მოთხოვნის საფუძველზე, წარადგინა მიმდინარე მისიის მოკლე მიმოხილვა.

ტიმ კლერი – საქართველოს ქსს-სთან თანამშრომლობს 2011 წლიდან. 2017 წლიდან GIZ-ის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივის ფარგლებში, EHG კონსულტანტების სტატუსით ტიმ კლერი და სანია მატოვიჩი უწევენ ქსს-ს ტექნიკურ დახმარებას. ინიციატივის ფოკუსია ქსს-ს ევოლუციის შეფასება გარდამავალი პერიოდისთვის მზადების მიზნით. გამომსვლელმა

ხაზგასმით აღნიშნა საქართველო წამყვანი პოზიცია განვითარების დონის და ეფექტურობის თვალსაზრისით. კონსულტანტების ვიზიტის დასრულების შემდეგ, რომლის მთავარი მიზანია ქსს-სთვის გარდამავალი გეგმის გადაცემა და ასევე სხვა კომპონენტების განხორციელება, მიმდინარე ტექნიკური დახმარების ფარგლებში, შესაძლებელია საბჭოს მიეწოდოს დისტანციური დახმარება 2020 წლის აპრილამდე. დღევანდელ სხდომაზე კონსულტანტები წარადგენენ საბჭოს მართვის სახელმძღვანელოს მოდიფიკაციას და საორიენტაციო პაკეტის პოტენციურ ცვლილებებს, გადასცემენ საბჭოს გარდამავალ გეგმას, წარადგენენ თვით-შეფასების შედეგებს და გლობალური ფონდის მიმდინარე ინიციატივას სხვადასხვა ქვეყნების საბჭოების ევოლუციასთან დაკავშირებით. ბ-ნმა კლერიმ მაღალი შეფასება მისცა საბჭოს თვით-შეფასების შედეგებს.

ეკატერინე ტიკარაძე – მადლობა მოახსენა კონსულტანტებს. სამუშაოს შედეგები მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და სამინისტროსთვის. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა საბჭოში წარმოდგენილი თითოეული ჯგუფის მნიშვნელობას; საბჭოს შიგნით აკუმულირებული ინტელექტუალური რესურსი წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს კონსულტანტების დახმარებით შერჩეული სწორი მიმართულებით შემდგომი ნაბიჯებისთვის და პროგრესის გაღრმავებასა და განვითარებისთვის. ქ-ნმა მინისტრმა გამოთქვა ერთობლივი ეფექტური მუშაობის გაგრძელების იმედი დისტანციური ტექნიკური დახმარების მეშვეობით.

თამარ გაბუნია – მადლობა მოახსენა კონსულტანტებს და მაღალი შეფასება მისცა მათ მიერ განხორციელებულ სამუშაოს. გარდამავალი გეგმა და სხვა რეკომენდაციები წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს, რომელიც დაეხმარება საბჭოს წარმატებულ ტრანზიციაში და გლობალური ფონდის შემდგომ პერიოდში ეფექტური ფუნქციონირების გაგრძელებაში.

ეკატერინე ტიკარაძე – სიტყვა გადასცა ირმა ხონელიძეს. ქალბატონმა მინისტრმა განაცხადა, რომ მას მოუწევს სხდომის დატოვება გარკვეული დროით და ბოდიში მოუხადა დამსწრე საზოგადოებას. მისი არყოფნის პერიოდში, სხდომას წარუძღვება თამარ გაბუნია.

ირმა ხონელიძე – განაცხადა, რომ ტუბერკულოზის საგრანტო ხელშეკრულება დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ. მან მადლობა მოახსენა ქ-ნ მინისტრს. მოცემულ ეტაპზე, საგრანტო ხელშეკრულება ხელმოწერილია ყველა მხარის მეირ, პროგრამის განხორციელება დაიწყება 2020 წლის 1 იანვარს. ქ-ნმა ხონელიძემ მოკლედ მიმოიხილა საგრანტო ხელშეკრულების ძირითადი კომპონენტები. მიმდინარე გრანტების აქტივობები მიმდინარეობს დასახული გეგმის მიხედვით. გამომსვლელი შეეხო აჭარის რეგიონში მიმდინარე ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივას, რომელიც დეტალურად იქნა განხილული საბჭოს 94-ე სხდომის მსვლელობისას და განაცხადა, რომ ციფრული რენტგენის

აპარატით და ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი ავტომობილი მოეწოდა ქვეყანას. შესაძლებელია აგრეთვე GeneXpert - ის დამონტაჟება. მას აჭარის რეგიონში გამოიყენებენ, ხოლო შემდგომ მოხდება მისი გამოყენების ეტაპობრივი განვრცობა სხვა რეგიონებშიც. სამუშაოები ჩატარდა ტბ ასოციაციის აქტიური მონაწილეობით და კონსულტანტის ჩართულობით. 2020 წლის იანვრიდან მოსალოდნელია დამატებითი ტექნიკური დახმარების მიღება. 2020 წლის განმავლობაში სერვისების შეუფერხებელი მიწოდების მიზნიდან გამომდინარე, აივ გრანტის ფარგლებში სატენდერო პროცედურების დასრულებას მიენიჭა პრიორიტიზებული მნიშვნელობა. ქ-ნი ირმა ხონელიძე შეეხო კომპიუტერების შესყიდვის ტენდერს, რომელიც 25 დეკემბერს დასრულდება და ყურადღება გაამახვილა გლობალური ფონდის გრანტის ფარგლებში შესყიდული გარკვეული ქონების გადაცემის საკითხს, რომელიც შესაძლოა შემდეგი სხდომის განხილვის საგანიც გახდეს. გამომსვლელმა მოკლედ მიმოიხილა გლობალური ფონდის გრანტების ფარგლებში შესყიდული ქონების გადაცემის გამოცდილება. დკსჯეც-ს მოთხოვნა კომპიუტერების ინტეგრირებული სკრინინგის განმახორციელებელ პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისადმი გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა გლობალური ფონდის მიერ. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს საბოლოო მომხმარებლებისთვის ულტრაიისფერი გამოსხივების სანათების გადაცემის საკითხთან დაკავშირებული კომუნიკაცია. დკსჯეც სრულად აცნობიერებს მოხმარებაში ჩართული თითოეული მხარის პასუხისმგებლობას. გლობალური ფონდიდან, დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, საკითხი დაყენებულ იქნება ქსს-ს წინაშე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

თამარ გაბუნია – სიტყვა გადასცა ქ-ნ მზია ტაბატაძეს.

მზია ტაბატაძე - წარადგინა საზედამხედველო აქტივობების ძირითადი ასპექტები და დასახული გეგმები. 2019 წლის 6 დეკემბერს გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის მორიგი შეხვედრა, რომლის მსვლელობისას განხილულ იქნა აივ და ტბ გრანტის 2019 წლის მე-3 კვარტალის დეშბორდები. არ ფიქსირდება მნიშვნელოვანი შეუსრულებლობა/ჩამორჩენა, აქტივობები მიმდინარეობს დასახული გეგმის თანახმად. საზედამხედველო კომიტეტმა განიხილა GeneXperts-ებით მოცვის გაფართოების საკითხი. გამომსვლელმა დადებითად შეაფასა 15 ზოგადი პროფილის კლინიკის ჩართულობა. აღნიშნა, რომ ტბ შემთხვევების კლება, რომელიც მიმდინარეობს ტუბერკულოზის გამოვლენის გაუმჯობესებასთან პარალელურად მიუთითებს ტბ პროგრამის წარმატებაზე. სიფილისის ტესტების ვალიდაციის საკითხს, რომელსაც დაეთმო დკსჯეც-ის მხრიდან სათანადო ყურადღება, დარეგულირდა. საზედამხედველო კომიტეტმა 21 ნოემბერს განახორციელა ვიზიტი პროგრამის განხორციელების ორ საიტზე: აივ/შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი და ტბ ფიფლ. ფონდის თანამშრომლებმა და ბენეფიციარებმა გამოთქვეს წუხილი შემცირებულ ბიუჯეტთან დაკავშირებით. ახალი ოფისის სივრცე არ იძლევა პრივატული და კონფიდენციალური გარემოს შექმნის შესაძლებლობას აივ პოზიტიურ პირებთან კონსულტაციების მსვლელობისას. ასევე შემცირდა, როგორც რაოდენობრივად, ასევე

თვისობრივად აივ დადებითი პირების, ბავშვების, მათი ოჯახების წევრებისთვის განკუთვნილი მხარდამჭერი სერვისები. როგორც შეხვედრისას აღინიშნა, ფონდი ფარავს ინფიცირებულთა კოჰორტის დაახლეობით ერთ მესამედს. ყოველ ორშაბათს თანასწორთა მიერ ჩატარებული კონსულტაციები შიდსის ცენტრში დადებითად შეფასდა არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლების და ბენეფიციარების მიერ. ფონდი და მისი აქტივობები სრულად ფინანსდება გლობალური ფონდის მიერ, ამრიგად არსებობს სერვისების მდგრადობის შენარჩუნების საფრთხეები. გამომსვლელმა აღნიშნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ აივ დადებითი თემისთვის სერვისების დაფინანსების ადვოკატირების მნიშვნელობა. თბილისის და ბათუმის მერების მიერ ხელმოწერილი პარიზის დეკლარაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას ადვოკატირების ინსტრუმენტად. ქ-ნმა მზიამ ხაზი გაუსვა ბიზნეს სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას. 2018 წელს შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო გამოფენაზე საუბრისას, მან აღნიშნა ალტას და ნიკორას მიერ აივ ინფიცირებულთათვის სპეციალური ფასდაკლების ვაუჩერის გადაცემა, გამოხატა მადლიერების გრძნობა აღნიშნული კომპანიების მიმართ და აღნიშნა, რომ ამგვარი ქმედებები საჭიროებს მეტ ხილვადობას, რადგანაც წარმოადგენენ მისაბაძ მაგალითს ბიზნეს სექტორის სხვა წარმომადგენლებისთვის. ვიზიტის დროს ასევე განხილულ იქნა აივ-თან ასოცირებული სტიგმის და დისკრიმინაციის საკითხი ჯანდაცვის სექტორში. აღინიშნა, რომ შემთხვევების უმეტესობას ადგილი ქონდა 2017 და 2018 წლებში. ქ-ნმა მზიამ დაასახელა რამდენიმე კლინიკა, სადაც აივ ინფიცირებული პირების განცხადებით დაფიქსირდა სტიგმატიზირებული მიპყრობა. მან ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საზედამხედველო კომიტეტს არ ჰქონდა ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობა, ქსს-ს წევრებმა უნდა გამოიჩინონ სიფხიზლე ამგვარი ფაქტების მიმართ. ბენეფიციარებმა დაასახელეს ტრანსპორტირების თანხის უქონლობა, როგორც ბარიერი გარკვეული პაციენტებისთვის. ბენეფიციარებმა გამოთქვეს მადლიერების გრძნობა შიდსის ცენტრის მიმართ კვალიფიცირებული მკურნალობისთვის და სამედიცინო პერსონალის მხრიდან კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისთვის. შიდსის ცენტრის არსებული ინფრასტრუქტურა დასახელდა გამოწვევად ბენეფიციარების მიერ. ქ-ნმა მზიამ განსაკუთრებით გამოყო არვ მკურნალობაზე დამყოლობის თემა და სპეციალიზირებული ფსიქოლოგების ჩართულობის საჭიროება. აღნიშნული საკითხი გამოიკვეთა ბენეფიციარებთან შეხვედრის დროს, სადაც განხილულ იქნა აივ-ინფიცირებული ბავშვის (15 წლამდე) კონკრეტული მაგალითი. ბავშვი უარს აცხადებს მედიკამენტების მიღებაზე, აივ-ინფიცირებული დედის მხრიდან უარყოფითი მაგალითის ფონზე. ქ-ნმა მზიამ აღნიშნა, რომ ოჯახს არ მიეწოდება პროფესიონალური ფსიქოლოგიურ მხარდაჭერა, რაც უკავშირდება საქართველოში აივ საკითხებზე სპეციალიზირებულ კვალიფიციური ფსიქოლოგების ნაკლებობას. მან მიმართა აუდიტორიას საკითხზე დაუყოვნებლივი რეაგირების თხოვნით. არასამთავრობო ორგანიზაციაში ტბ ფიფლ ვიზიტისას, საზედამხედველო კომიტეტი შეხვდა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარომადგენელს. ძირითადი აქტივობები ხორციელდება ორი პროგრამის ფარგლებში: მაღალი რისკის პოპულაციებისათვის სერვისების მდგრადობის უზრუნველყოფა

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში (SoS პროექტი) და TB REP 2.0. ძირითადი ინტერვენციები მოიცავს: თემის გაძლიერება, ცნობიერების ზრდა, საბიუჯეტო ადვოკატირება, სათემო მონიტორინგი. გამომსვლელმა მაღალი შეფასება მისცა ტბ პაციენტებისთვის შემუშავებულ მობილურ აპლიკაციას, როგორც სასარგებლო ინოვაციას.

დისკუსიის ძირითადი საკითხები:

ელგუჯა მელაძე - ქსს-ში კერძო სექტორის წარმომადგენლის სტატუსით, გამოეხმაურა ქველმოქმედების საკითხს. მან აღნიშნა, რომ არსებობს მრავალი სხვა კომპანია, გარდა დასახელებულისა, რომლებსაც აქვთ სურვილი და აწარმოებენ საქველმოქმედო საქმიანობას. თუმცა ეს აქტივობები არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. ქსს წარმოადგენს საჭიროებების იდენტიფიცირების და აქტივობების წარმართვის მძლავრ პლატფორმას. დამსაქმებელთა ასოციაციას გააჩნია კარგად სტრუქტურიზირებული კოორდინირებული კავშირი სხვა ბიზნეს ასოციაციებთან; ამრიგად შესაძლებელია ყველა დონეზე კოორდინაციის უზრუნველყოფა. ბ-ნმა ელგუჯამ აგრეთვე გამოთქვა სატენდერო პროცესში თანამშრომლობის მზაობა მაქსლიმალურად სანდო განმახორციელებლის იდენტიფიცირების მიზნით.

მარი ჩოხელი – გამოეხმაურა ბავშვთა ფსიქოლოგის საკითხს. ქ-ნი მზია ტაბატაძის მიერ წარმოდგენილი ოჯახის პრობლემაზე სწრაფი რეაგირების მიზნით გამოთქვა მზაობა დაუკავშირდეს პარტნიორობას ადამიანის უფლებებისთვის და სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ბავშვთა უფლებების ცენტრს, სადაც ხელმისაწვდომია ბავშვთა ფსიქოლოგის სერვისები. მან გამოთქვა საკითხის კომუნიკაციის და კოორდინირების მზაობა.

გოჩა გაბოძე– განაცხადა, რომ კერძო სექტორის ფოკუსი უნდა იყოს სოციალური პასუხისმგებლობა და არა ქველმოქმედება, რომელი გარკვეულწილად აღრმავებს აივ/შიდსთან დაკავშირებულ სტიგმას. დამყოლობა წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის საკითხს. ბ-ნმა გოჩამ ხაზი გაუსვა თავად პაციენტების ჩართულობის მნიშვნელობას, როგორც რეაგირებისას, ასევე დამყოლობის პროგრამების დაგეგმვისას.

ელგუჯა მელაძე – აღნიშნა, რომ ბიზნეს სექტორის რეკომენდაციები უნდა ემყარებოდეს პროფესიონალთა რეკომენდაციებს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია სამინისტროსთან პარტნიორობაში ახორციელებს აქტივობებს, რომელიც შეიცავს აივ/შიდსის ფართომასშტაბიან კომპონენტს, როგორიცაა ცნობიერების ამაღლება, აივ-ინფიცირებულთა შრომითი ურთიერთობები და სხვა ინტერვენციები.

თამარ გაბუნია – ხაზი გაუსვა პაციენტების და მათი ჩართულობის როლს. აღნიშნული, ასევე განხილულ იქნა ტექნიკურ მრჩეველთა გუნდის (TAG) შეხვედრის დროს. არსებობს ქვეყნების მაგალითები, სადაც მოხდა ამ მოდელის სისტემაში წარმატებული ინტეგრირება. ამრიგად, საჭიროა ამ სერვისის აღიარებისკენ, ინსტიტუციონალიზაციისკენ, დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებისკენ მიმართული სამუშაოების გააქტიურება.

თენგიზ ცერცვაძე – შიდსის ცენტრი არ იშურებს ძალისხმევას პაციენტებისთვის მაქსიმალურად სასურველი გარემოს შექმნისთვის, ფუნქციონირების გაუმჯობესებისთვის და ყველა რეალისტური ინოვაციური შემოთავაზების განხორციელებისთვის. ბოლო 6 თვის განმვლობაში გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიმართულებით. შიდსის ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების წამყვან ცენტრებში. არსებული სიტუაციის გაუმჯობესების და გამოცდილების გაზიარების მიზნით, შიდსის ცენტრმაც თავის მხრის უმასპინძლა წამყვანი ინსტიტუციების წარმომადგენლებს. ბ-ნმა თენგიზ ცერცვაძემ მიმართა ქ-ნ მზია ტაბატაძეს თხოვნით დაიგეგმოს სამუშაო შეხვედრა შიდსის ცენტრის წარმომადგენლებთან ყველა მწვავე საკითხის განხილვის მიზნით, როგორიცაა დამყოლობა, სხვადასხვა კლინიკებში სტიგმა/დისკრიმინაციის ფაქტები, ბავშვთა ფსიქოლოგის სერვისები, გამოსასწორებელი რეალისტური ზომების დადგენის და მაქსიმალურად ოპტიმალური მოდელის შემუშავების მიზნით. პროფესორმა ცერცვაძემ მიმართა აუდიტორიას თხოვნით წამოაყენონ იდეები/მოსაზრებები, ინოვაციური წინადადებები. მოხდება ყველა მათგანის შესწავლა და ოპტიმალურობის და განხორციელებადობის შემთხვევაში დანერგვა პრაქტიკაში. ნებისმიერ მცირე დეტალს აქვს თავისი როლი და არცერთი რეკომენდაცია არ დარჩება სათანადო ყურადღების გარეშე. ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული გამოწვევები სცილდება შიდსის ცენტრის მანდატს. აღნიშნული საკითხების განხილვა წლების განმავლობაშ მიმდინარეობს სამთავრობო უწყებებთან.

თამარ გაბუნია – მადლობა მოახსენა აუდიტორიას აქტიური განხილვისთვის და სიტყვა გადასცა ბ-ნ ტიმ კლერის და ქ-ნ სანია მატოვიჩს.

სანია მატოვიში - წარუდგინა აუდიტორიას ინფორმაცია ქსს-ს ევოლუციასთან დაკავშირებული მიმდინარე აქტივობების შესახებ (პრეზენტაცია თანდართულია). წარდგენილ იქნა ქსს-ს ჩამოყალიბების და განვითარების ისტორიის რეტროსპექტიული ანალიზი, ევოლუციის ინიციატივის წამოწყების წინაპირობები. ქსს-ს ევოლუციაზე საუბრისას, აღინიშნა, რომ რიგი ქვეყნების საბჭოებმა, როგორიცაა მაგალითად საქართველოს საბჭო მიაღწია განვითარების მაღალ დონეს. აღნიშნული საბჭოები წარმოადგენენ აივ/შიდსის, ტუბერკულოზის და მალარიის ერთიან მაკოორდინირებელ ორგანოს, რომელიც ზედამხედველობას უწევს არა მხოლოდ გლობალური ფონდის, არამედ ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროგრამებსაც. 2018 წელს გლობალურმა ფონდმა წამოიწყო ქსს-ს ევოლუციის პროექტი. 2018-2019 წწ მოხდა პროექტის პილოტირება 18 ქვეყანაში. ქ-ნმა სანიამ განიხილა ოთხი ფოკუს-არეა - ფუნქციონირება, ზედამხედველობა, ჩართულობა, კავშირები. პროექტის ფარგლებში ჩატარებულ საბაზისო შეფასებას მოყვა კონსულტანტების სხვადასხვა ჯგუფების მიერ განხორციელებული ტექნიკური დახმარება და საბოლოო შეფასება. ინიციატივა და შეფასების შედეგები წარედგინა გლობალურ ფონდს 2019 წლის ნოემბერში, აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე. შედეგების მიმოხილვისას, ქ-ნმა სანიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა საქართველოს ქსს-ს განვითარების მაღალი დონე, რომელიც მიეკუთვნება სტრატეგიული

ქსს-ს კატეგორიას, იმ დროს, როდესაც სხვა საბჭოების უმრავლესობის განვითარების დონე შესატყვისია ფუნქციონალურს და ჩართულ დონეს. არსებობს რიგი საბჭოებისა, რომლის დონე განისაზღვრა, როგორ ფუნციონალურობისკენ მიმართული. პროცესის შემდგომი ნაბიჯები: 2020-2022 წწ 115 საბჭოზე ინიციატივის გავრცობა; 2020 წელს ინიციატივის 90 ქვეყანაში განხორციელება (დამოკიდებულია კატალიზური ინვესტიციებისთვის გამოყოფილ თანხაზე). ამ ეტაპზე ინფორმაცია საქართველოს მონაწილეობის შესახებ არ არის ცნობილი და მისი მოპოვება შესაძლებელია გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერის მეშვეობით. მოცემული პერიოდის განმავლობაში საქართველოს ტექნიკურ დახმარებას აფინანსებდა GIZ; 2020 წლის პირველ კვარტალში შედეგები წარედგინება GIZ-ს; არსებობს ალბათობა, რომ შედეგები იქნება გამოყენებული ქსს-ს ევოლუციის ინიციატივის განხორციელებისას. საბჭოს ინფორმაცია მიეწოდება სავარაუდოდ მომავალი წლის დასაწყისში.

ტიმ კლერი – წარადგინა მართვის სახელმძრვანელოს შემოთავაზებული მოდიფიკაციები, რომლის მიზანია დოკუმენტის უკეთ მისადაგება გლობალური ფონდის ცვალებად რეგულაციებთან და ქსს-ს მართვის არსებულ მოცემულობასთან (პრეზენტაცია თანდართულია). ქსს-ს ეთხოვება ცვლილებების საბოლოო რატიფიცირება.

შემოთავაზებული ცვლილებები:

- ქსს-ს მანდატს დაემატა ორი ფუნქცია: რეპროგრამირების მოთხოვნების დამტკიცება და გლობალური ფონდის პროგრამებსა და ჯანდაცვის სხვა ეროვნულ და განვითარების პროგრამებს შორის ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა;
- საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტი (სამთავრობო სექტორი) განისაზღვრა მუდმივ წევრად;
- საბჭოს წევრობის ვადა განისაზღვრა სამი წლით (იმავე წევრის არჩევის უფლების ლიმიტაციის გარეშე, წარმომადგენლობის გადაწყვეტილების შემთხვევაში);
- ყველა წევრს, გარდა თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილესა შეიძლება ჰყავდეს ალტერნატიული წევრი;
- იმ შემთხვევაში, თუ ახალი ბილატერალური ან მულტილატერალური პარტნიორი გამოთქვამს საბჭოში გაწევრიანების სურვილს, აღნიშნული შესაძლებელია მოხდეს არჩევის/შერჩევის პროცედურის გარეშე, მათი შიდა პროცედურების თანახმად;
- იმ შემთხვევაში თუ სხდომას ესწრება როგორც ძირითადი, ასევე ალტერნატიული წევრი, მხოლოდ ძირითად წევრს აქვს ხმის მიცემის უფლება;
- იმ შემეთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ქსს-ს სხდომის მოწვევა (ქვორუმი ან სხვა მიზეზები), შესაძლებელია ელექტრონული კენჭისყრის ჩატარება;
- თუ საზედამხდველო კომიტეტის თავმჯდომარე ან წევრი ვერ ახერხებს მოხსენებას საზედამხედველო აქტივობების შესახებ, აღნიშნულს ახდენს ქსს-ს სამდივნო;
- შესაძლებელია სხდომის ოქმის ელექტრონულად დამტკიცება;
- შესაძლებელია თავმჯდომარის და მისი მოადგილის ელექტრონული წესით არჩევა;

- თუ სხდომას არ ესწრება ქსს-ს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, სხდომას შეიძლება წარუძღვეს პოლიტიკის და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის ან საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე;
- საბჭოს თავმჯდომარე ირჩევა 4 წლის ვადით და შესაძლებელია მისი განმეორებით არჩევა, ქსს-ს გადაწყვეტილების შესაბამისად;
- საზედამხედველო კომიტეტი პასუხისმგებელია ქსს-ს გარდამავალი გეგმის განხორციელების მონიტორინგზე;
- პასკ-ს ენიჭება გარკვეული როლი ქსს-ს გარდამავალი გეგმის განხორციელებაში (სამოქმედო გეგმის თანახმად), ეროვნული სტრატეგიების და დაფინანსების მოთხოვნის შემუშავებაში;
- ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა ჩანაცვლდა ქცევის, ეთიკის კოდექსის და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკით;

განახლებული მართვის სახელმღძვანელო დაეგზავნება საბჭოს წევრებს დამატებითი რევიზიის, კომენტარის და დამტკიცების მიზნით.

ბ-ნმა ტიმ კლერიმ წარადგინა ქსს-ს თვით-შეფასების შედეგები (პრეზენტაცია თანდართულია). ჩატარების მიზეზები: იმ მიმართულებების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებს გაძლიერებას გარდამავალი პერიოდისათვის, თვით-შეფასების შედეგები განსაზღვრავს შესაძლებლობების განვითარების სამუშაო გეგმის შემუშავების საჭიროებას. კითხვარი შედგება 20 რაოდენობრივი კითხვისგან, რომელიც ემყარება ქსს-ს ევოლუციის ინიციატივის საბაზისო შეფასების ინსტრუმენტს და ერთი თვისობრივი კომენტარის ველისგან. მიღებულ იქნა 15 შევსებული კითხვარი (52%). შევსებული კითხვარები, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის მიზნით, ეგზავნებოდა უშუალოდ კონსულტანტებს. წარდგენილ და გაანალიზებულ იქნა შედეგები. აღინიშნა, რომ შედეგებმა არ გამოავლინა ღიობები. ბ-ნმა ტიმმა მიმართა აუდიტორიას თხოვნით დამატებით წამოეყენებინათ პრობლემატური საკითხები, ღიობები, შესაძლებლობების განვითარების არეალები.

თამარ გაბუნია - ქსს-ს განვითერებაში ჩადებულმა უდიდესმა ძალისხმევამ, დაგროვილმა გამოცდილებამ განაპირობა ამგვარი შთამბეჭდავი შედეგების მიღება.

სანია მატოვიჩი – თვით-შეფასების შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყო საქართველოს ქსს-ს სიძლიერე და ასევე მოცემულ ეტაპზე შესაძლებლობების განვითარების გეგმის შემუშავების საჭიროების არარსებობა. ქ-ნმა მატოვიჩმა მიმოიხილა საორიენტაციო პაკეტის არსებული მოდელები (პრეზენტაცია თანდართულია): ქსს-ს ახალი წევრებისთვის - საბაზისო საორინტაციო პაკეტი; ქსს-ს ყველა წევრისთვის - უწყვეტი ორიენტაცია, სიახლეები (ყოველწლიურად ან საჭიროების შეფასების საფუძველზე); მიზნობრივი ჯგუფებისთვის - სპეციფიური მოდულები (საჭიროების საფუძველზე); კონკრეტულ საკითხებზე რეაგირებისთვის (საჭიროების საფუძველზე). განხილულ იქნა თითოეული მოდელის დეტალები. რაც შეეხება არსებულ საორიენტაციო მასალას, კონსულტანტები მოახდენენ მის

გადახედვას და ადაპტირებას. გარდა ამისა, საჭიროების შეფასების საფუძველზე (კითხვარი მიეწოდა წევრებს), შესაძლებელია სპეფიციური მოდელის შემუშავება. სწრაფი შეფასების შედეგები ასევე სასარგებლო იქნება დისტანციური დახმარების სამიზნეების და საჭიროებების იდენტიფიცირების თვალსაზრისით. გარდა აღნიშნულისა, გლობალურ ფონდს შეუძლია ტექნიკური დახმარების აღმოჩენა ორიენტაციის შემდეგ სფეროებში: ახალი წევრების ორიენტირება, მმართველობის გაძლიერება და გარდამავალი პერიოდისთვის მზადება, საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება, სამოქალაქო სექტორის ჩართულობა და არჩევნები. შესაძლებელია გლობალური ფონდის ტექნიკური დახმარების დისტანციურად მიღება ვებინარის საშუალებით, ამის შემდეგ შესაძლებელია გლობალური ფონდის მიერ ქვეყანაში კონსულტანტთა ჯგუფის გაგზავნა. დასასრულს, ქ-ნმა მატოვიჩმა კიდევ ერთხელ მიმართა წევრებს კითხვარის შევსების თხოვნით. შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდება შემოთავაზებების წარდგენა და არსებული საორიენტაციო მოდულის განახლება მომავალი წლის დასაწყისში.

თამარ გაბუნია - მადლობა მოახსენა ქ-ნ მატოვიჩს, პოზიტიურად შეაფასა ინტერაქტიური პლატფორმის გამოყენების შესაძლებლობები და სიტყვა გადასცა ბ-ნ ტიმ კლერის.

ტიმ კლერი – მოკლედ მიმოიხილა ტექნიკური დახმარების პროცესი 2016 წლიდან დაწყებული. მიულოცა საქართველოს გლობალური ფონდის დახმარების პერიოდის განგრძობა. მად მადლობა გადაუხადა საქართველოს ქსს-ს პროაქტიულობისთვის, თანამშრომლობისთვის, ეფექტიანობისთვის, რამაც დიდი წვლილი შეიტანა მისიის წარმატებაში. კონსულტანტების მიერ შემუშავებული გარდამავალი/სამოქმედო გეგმა გამოყენებულ იქნება ქსს-ს მიერ, როგორც გლობალური ფონდის დაფინანსებიდან წარმატებული გადასვლის და მდგრადობის შენარჩუნების ქმედითი ინსტრუმენტი.

დამსწრე საზოგადოებამ ექსპერტების წვლილი ტაშით აღნიშნა.

თამარ გაბუნია – მადლობა მოახსენა ექსპერტებს ღირებული კონსულტაციებისთვის. მათი რეკომენდაციები წარმოადგენს უდიდეს ფასეულობას საქართველოს ქსს-სთვის. ქსს-მ წარმატებულად განვლო განვითარების გზა და ჩამოყალიბდა ეფექტურ და სასარგებლო პლატფორმად, რომელიც უზრუნველყოფს ყველა პარტნიორის მონაწილეობას. ქსს-ს სახით შეიქმნა კოორდინაციის და ჩართულობის საუკეთესო მოდელი. ქ-ნმა გაბუნიამ გამოხატა კმაყოფილება გლობალური ფონდის დახმარების გაგრძელებასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა გლობალური ფონდის დაფინანსების მნიშვნელობას.

ნათია ხონელიძე - მოკლედ მიმოიხილა პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის 10 დეკემბრის შეხვედრა. კომიტეტის შეხვედრის მონაწილეებმა ასევე გამოთქვეს მადლიერების გრძნობა, სრული კმაყოფილება კონსულტანტების მეირ გაწეული სამუშაოს შედეგებით და ამ გუნდისგან შემდგომი დახმარების მიღების სურვილი.

თამარ გაბუნია – განაცხადა, რომ ჯანდაცვის რეფორმებზე მსჯელობის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საყოველთაო ჯანდაცვის საბჭო. ქსს-ს რიგ წევრებს უკვე გაეგზავნათ წერილები კანდიდატის ნომინირების თხოვნით. მინისტრის პირველმა მოადგილემ ხაზი გაუსვა სათემო ორგანიზაციების, თავად პაციენტების, პაციენტთა კავშირის ჩართულობის მნიშვნელობას და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას გამოთქვან მონაწილეობის ინტერესი ქსს-ს სამდივნოსთან მიმართვის მეშვეობით.

მარი ჩოხელი - განაცხადა, რომ შესაძლებელია ჯანდაცვის ადვოკატირების კოალიციამ, რომლის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საერთაშორისო ფონდი კურაციო, წამოაყენოს კანდიდატი და გამოთქვა კოალიციის მხრიდან ნომინირების პროცესის კოორდინირების მზადყოფნა.

კონსტანტინე ლაბარტყავა – მიმართა ქ-ნ გაბუნიას ნიმ თემის პრობლემატური საკითხებზე მსჯელობის და მათი გადაჭრის მიზნით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესის წამოწყების თხოვნით.

თამარ გაბუნია - პროცესის ინიცირებისთვის, საჭიროა მოხდეს სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლების ნომინირება ნიმ თემის მხრიდან, ჯანდაცვის სამინისტრო თავის მხრივ დაასახელებს წევრებს.

ქალბატონმა თამარ გაბუნიამ კიდევ ერთხელ გამოთქვა მადლიერების გრძნობა კონსულტანტების მიმართ, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას აქტიური მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოცხადა.

ეკატერინე ტიკარაძე

ქსს-ს თავმჯდომარე

ნათია ხონელიძე

ქსს-ს ადმინისტრაციული ასისტენტი